შპს სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

თბილისი 26 აგვისტო 2025 წელი

ბრძანება № 93-25

2025-2026 სასწავლო წელს ბაკალავრიატის საფეხურზე პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.3 ქვეპუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №05-23 საოქმო გადაწყვეტილებით),

ვბრძანებ:

1. 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტთა 2025-2026 სასწავლო წელზე რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2025 წლის 02 სექტემბერი - 2025 წლის 10 სექტემბერი.
2. რეგისტრაცია განხორციელდეს შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე:
   ა) სარეგისტრაციო განცხადება/სპეციალური ფორმა (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს), სარეგისტრაციო განცხადება არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში შეივსება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ;
   ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის) ასლი დედნის წარმოდგენის პირობით (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში-პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);
   გ) 1 ნაბეჭდი ფოტოსურათი ზომით 3×4 და ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია (CD/DVD დისკზე);
   დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტის) ასლი დედნის წარმოდგენის პირობით;
   ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი დედნის წარმოდგენის პირობით (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა);
   ვ) შევსებული სპეციალური ანკეტა (აბიტურიენტებს შეუძლიათ მიიღონ ანკეტის ფორმა უნივერსიტეტში);

ზ) სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სტუდენტი ისწავლის სრული/ნაწილობრივი თვითდაფინანსებით);

თ) განათლების მომსახურების ხელმოწერილი ხელშეკრულება (ხელშეკრულების შაბლონს აბიტურიენტი მიიღებს უნივერსიტეტში. თუ აბიტურიენტი არასრულწლოვანია, მასთან ერთად ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი).

3. აბიტურიენტთა რეგისტრაცია განხორციელდეს მისამართზე: თბილისი, კ. ქუთათელაძის ქ. №3, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით შემდეგ საათებში: 10 საათიდან 18 საათამდე რეგისტრაცია; 13 საათიდან 14 საათამდე შესვენება.
4. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება (ციცინო ხითარიშვილი);
5. დაევალოს უნივერსიტეტის მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება;
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი ავაკი ჭელიძე